

განმარტებითი ბარათი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ:

ა.ა) ბიუჯეტის პროექტის მიღების მიზეზი:

ბიუჯეტის პროექტი მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად და განისაზღვრება 2021 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლები.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს ბიუჯეტის პროექტი: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებულ, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად ბიუჯეტის მიღების აუცილებლობა: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ პროექტის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს(საკრებულოს) მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) მოსალოდნელი შედეგი: ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) პროექტის ძირითადი არსი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს(საკრებულოს) წარედგინება 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

მომავალი წლის ადგილობრივი ბიუჯეტი ემსახურება დასახული პროგრამის შესრულებას, შენარჩუნებულია საჭირო ყველა აუცილებელი პარამეტრი და ამავდროულად არის ორიენტირებული მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებზე .

ა.დ) მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ტენდენციები

ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური გასაცემლების დინამიკის შენარჩუნება და ზოგიერთ შემთხვევაში ზრდა , ასევე დაგეგმილი მხარჯავი დაწესებულებების ა(ა)იპებისა მზარდი და ზოგიერთ შემთხვევაში და შპს-ების სტაბილური სუბსიდირებაც, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა 2021 წლისთვის მაინც შენარჩუნებულია მიმდინარე ადმინისტრაციული ხარჯების წინა წლის მაჩვენებელი, კაპიტალური ხარჯების წილიდან კი არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლის მიუხედავად ხვედრითი წილი ისეთ პროექტებზე ანუ მიმდინარე დანახარჯების ინფრასტრუქტურულ პროექტებზე (ფერდსამაგრებზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და სხვა პირობების მოწესრიგების) მაინც გადანაწილდა, რომელიც სოციალური შინაარსისაა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.

შემოსულობები:

2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- გადასახადების ნაწილში 16 909 100 ლარი;
- სხვა შემოსავლების ნაწილში 2 088 900 ლარი;
- გრანტები 16 008 000 ლარი;

- მათ შორის სპეციალური ტრანსფერი 1 500 000 ლარი;
- მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 14 508 000 ლარი;

➤ ადგილობრივი გადასახადები განისაზღვრა 16 909 100 ლარით; აღნიშნული მაჩვენებელი 779100 ლარით უფრო მეტია ვიდრე 2020 წლის თავდაპირველი ბიუჯეტით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი და 3 181 800 ლარით მეტი ვიდრე 2020 წლის მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელია. 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის გადასახადების ნაწილში საპროგნოზო თანხების განსაზღვრა განხორციელდა საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 05 ოქტომბრის N04-03/123505 წერილის საფუძველზე. აღნიშნულზე დაყრდნობით 2021 წლისათვის ბიუჯეტის გადასახადების ნაწილში საპროგნოზო მაჩვენებლები შემდეგნაირად განისაზღვრა:

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წელს ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა - 4 500 000 ლარით (მთლიანი შემოსულობების-ის 12,8 პროცენტია) და 2020 წლის შესაბამისი მაჩვენებელის იდენტურია.

➤ განაწილებული დამატებული ღირებულების გადასახადი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზემოთ აღნიშნული წერილის თანახმად, 2021 წელს პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19% შეადგენს 1 019 730 ათას ლარს, საიდანაც ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2020 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის დაახლოებით 1,22%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 12 409 100 ლარს. რომელიც კორექტირდება როგორც წერილშია აღნიშნული დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით. (მთლიანი შემოსულობების-ის 35,3 პროცენტი) 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 779100 ლარით მეტია მ/წლის თავდაპირველ მაჩვენებელთან შედარებით.

• სხვა შემოსავლების ნაწილში 2021 წლის გეგმა განისაზღვრა 2 088 900 ლარით (მშ-ის 6 პროცენტია).—იგი გასული წლის თავდაპირველ მაჩვენებელთან მიმართებაში 15.9%-იან კლებაშია .

სხვა შემოსავლები სახეების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები სახეში საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 62700 ლარით, რაც სხვა შემოსავლების 3 პროცენტია;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 120000 ლარით, რაც სხვა შემოსავლების 5,7 პროცენტია;
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან სახეში საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 194960 ლარით, რაც სხვა შემოსავლების 9,3 პროცენტია.

- მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე სახეში საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 120 000 ლარით. სხვა შემოსავლების 5,7 პროცენტს შეადგენს.
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის სახეში საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 250000 ლარი, რაც სხვა შემოსავლების 11,9 პროცენტს შეადგენს;
 - შემოსავალი მომსახურების გაწევიდან სახეში საპროგნოზო მაჩვენებელია 85 140 ლარი, რაც სხვა შემოსავლების 4,1 პროცენტს შეადგენს;
- სანქციები (ჯარიმები და საურავები) მოსაკრებლის სახეში სულ საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 100 000 ლარით, რაც სხვა შემოსავლების 52,5 პროცენტს შეადგენს;
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით დაგეგმილია სულ 156100 ლარი, რაც სხვა შემოსავლების 7,5 პროცენტს შეადგენს;

გრანტები:

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერი გათვალისწინებულია სულ 16 008 000 ლარი. (მთლიანი შემოსულობების -ის 45,6 პროცენტია). აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წლის სასტარტო მაჩვენებელზე 842000 ლარით ნაკლებია. მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერის საპროგნოზო ოდენობა 14 508 000 ლარი, (858000 ლარით მეტი გასული წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტთან მიმართებაში). ხოლო სპეციალური ტრანსფერის ნაწილში კი განისაზღვრა 1 500 000 ლარით. (1 700 000 ლარით ნაკლები ვიდრე 2020 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი მაჩვენებელია)

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები):

შემოსავლებით, გრანტებით სულ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 35 116 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული მაჩვენებელი 1 494 300 ლარით კლებამია 2020 წლის თავდაპირველი ბიუჯეტის ასიგნებასთან მიმართებაში.

მ/შორის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 18 398 592 ლარს. მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება 2 233 800 ლარი;
- საქონელი და მომსახურება- 2 019 142 ლარი;
- პროცენტი-178095 ლარი;
- სუბსიდიები - 11 416 635 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 738500 ლარი;
- სხვა ხარჯები -1 812 420 ლარი;

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებულია 14 670 350 ლარი;

ვალდებულების კლება შეადგენს 2 047 058 ლარს; საიდანაც ყველა ლარი მიმართული იქნება საშინაო ვალდებულებებისა და დავალიანების დაფარვაზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5 447 165 ლარი (მთლიანი გადასახდელების -15,51%);
- თავდაცვა - 129 320 ლარი (მთლიანი გადასახდელების -0,37 %);
- ეკონომიკური საქმიანობა- 3 596 395 ლარი (მთლიანი გადასახდელების -10,24 %);
- გარემოს დაცვა - 5 503 341 ლარი (მთლიანი გადასახდელების -15,67 %);
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა-8 117 288 ლარი (მთლიანი გადასახდელების -23,12 %);
- ჯანმრთელობის დაცვა -732200 ლარი (მთლიანი გადასახდელების -2,09 %);
- დასვენება, კულტურა და რელიგია -1 561 680 ლარი (მთლიანი გადასახდელების -4,45 %);
- განათლება - 9 560781 ლარი (მთლიანი გადასახდელების -27,23%);
- სოციალური დაცვა - 467830ლარი (მთლიანი გადასახდელების -1,33 %);

▪ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს ფარგლებში გათვალისწინებულია 5 447 165 ლარი. იგი გასული წლის მაჩვენებელთან მიმართებაში 7% - ით კლებაშია. რაც ძირითადად გამოწვეულია საშინაო ვალდებულებების დაფარვის ხარჯების კლებით , თუმცა საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული ხარჯებიც 2%-იან კლებაშია. . კერძოდ ვალთან დაკავშირებული ოპერაციებში კლება განაპირობა მუნიციპალური განვითარების ფონდი-ს მიერ განხორციელებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის (პროცენტი, ვალდებულებების კლება) ხარჯებში დაბა ოჩხამურის და ცეცხლაური -ჯიხანჯურის წყალსადენის რეაბილიტაციის პროექტზე ვალდებულებების დასრულებით,სარეზერვო ფონდისა და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის შემცირებით. მიუხედავად იმისა,რომ ადმინისტრაციული ხარჯები მმართველობასი არ არის ზრდაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის სამსახურების ფუნქციონირებისათვის საჭირო წლიური გადასახდელებში ხარჯები დინამიურად დაგეგმილია როგორც გასული წლის სასტატო ბიუჯეტში ისე,რომ ხელი შეუწყოს მუნიციპალური სერვისის განვითარებას ,შეუქმნათ ყოველ დასაქმებულ მოხელეს შესაბამისი სამუშაო პირობა.

▪ თავდაცვის სფეროში დაგეგმილია სულ 129 320 ლარის ხარჯი. გათვალისწინებულია სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ყველა საჭირო ადმინისტრაციული ხარჯები,ამავე დროს როგორც წინა წელს საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები წვევამდელეების გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფისათვის საჭირო დანახარჯების დაფინანსებაც.

➤ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში დაგეგმილია 3 596 395 ლარი .იგი გათვლილია კეთილმოწყობილი ქალაქის ქუჩების შენარჩუნებასა და რეაბილიტაციაზე, ტროტუარების მოწყობაზე; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურასა და ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა გაუმჯობესებული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფაზე. განხორციელდება ისეთი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები როგორიცაა:

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა გათვ ალისწინებულია 1 000 000 ლარი. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზებზე მოეწყობა 37 000 მ²-მდე ბეტონის საფარი.სულ დაიგება 14800 გრძ.მეტრი

➤ ქალაქ ქობულეთში, ყოფილი სასტუმრო „კოლხეთი“-ს მიმდებარედ ზღვაზე გადასასვლელის კეთილმოწყობა- 100 000 ლარი. პროექტის ფარგლებში ქ. ქობულეთში და.აღმაშენებელის გამზირიდან თამარ მეფის სანაპროზე 100 გრძ.მეტრზე საფეხმავლო

გადასაველი მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით. დამონტაჟდება ახალი გარე განათების სისტემა, განთავსდება საპარკე სკამები და დეკორატიული ურნები.

➤ **ქალაქ ქობულეთში, აღმაშენებლის I შესახვევის რეაბილიტაცია 41895 ლარი;** პროექტის ფარგლებში მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, აგრეთვე გზის სავალ ნაწილზე 100 გრძ.მეტრზე მოეწყობა დეკორატიული ფილები.

➤ **დაბა ჩაქვში, აბაშიძის ქუჩის ტროტუარის მოწყობისათვის განსაზღვრულია 500000ლარი.**პროექტის ფარგლებში მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, მოეწყობა ბორდიურები, ტროტუარი მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, ასევე მიმდებარე ტერიტორია მოწესრიგდება დეკორატიული ფილებით.

➤ **ვიდეოკამერების ექსპლუატაცია დაგეგმილია 72 500 ლარით.** გათვალისწინებულია ქობულეთში განთავსებული ვიდეოკამერის მოვლა-შენახვის მომსახურება.

➤ **ქალაქ ქობულეთში, ვერულიძის ქუჩის კეთილმოწყობის მიზნით გათვალისწინებულია სულ 300 000 ლარი.** მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, ტროტუარზე მოეწყობა ბორდიურები და მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, გზის სავალ ნაწილზე სულ 287 გრძ.მეტრზე მოეწყობა ასფალტო ბეტონის საფარი. მოეწყობა საგზაო ნიშნები და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი, აგრეთვე დამონტაჟდება ახალი გარე განათების სისტემა.

➤ **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაცდელების მოწყობის მიზნით გათვალისწინებულია 50 000 ლარი .** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფელი ქობულეთი - ყელის ასასვლელთან; გელაური საბავშვი ბაღის შესახვევი; ლეღვა ჯამეს შესახვევი; ლეღვა ცენტრალური გზა ზაქარიაძეების ასახვევი; ხუცუბანი მაგული ჯინჭარაძის სახლის მიმდებარედ; გელაური კაიკაციშვილის და თხილაიშვილის კვეთა; აჭყვისთავი სახარია; ჩაქვი რკინიგზის სადგური მოპირდაპირედ;მუხაესტატე მესხიძეების შესახვევი) გაჩერებებზე მოეწყობა აგურის მოსაცდელები.

➤ **მდ. დეხვას და მდ. კინტრიშის კალაპოტების გასწორხაზოვნება დაგეგმილია 35 000 ლარით.** ზამთარში ძლიერი შტორმის შედეგად მდინარეებმა კალაპოტი შეიცვალა და სანაპიროს ტერიტორია დააზიანა. მდინარე კინტრიშის, დეხვას და აჭყვას შესართავთან გატარდება ტერიტორიის მოსაწესრიგებელი სამუშაოები.

➤ **გაგრძელდება 2021 წლისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურება .** როგორც ცნობილია აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს შპს“ ქობულეთის ტრანსრეგულირება „აღნიშნული პროგრამით მიმდინარე ეტაპისათვის უზრუნველყოფილია მგზავრთა რეგულარული გადაყვანა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა მიმართულებით და ქალაქ ბათუმის მიმართულებით.არსებული ფინანსური გაანგარიშებით საწარმოს შემოსავალი ამ მიზნით არასაკმარისისა , ამასთან მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას შეინარჩუნოს მგზავრთა ფიქსირებული მინიმალური მგზავრობის საფასური, რისთვისაც გათვალისწინებულია წლის განმავლობაში ცალკეული თვეების მიხედვით საოპერაციო ხარჯების დეფიციტის დაფარვა და სუბსიდირება 297000 ლარის ოდენობით.

➤ **ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით დაგეგმილია 1 200 000 ლარი.** მუნიციპალიტეტში უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით განხორციელდება ფერდსამაგრი სამუშაოების ჩატარება 100-მდე მეწყრულ

მონაკვეთზე. სამუშაოები განხორციელდება როგორც დაზარალებულთა სახლის ტერიტორიაზე, ასევე მისასვლელ გზებზე.

➤ **გარემოს დაცვის სფეროს გადასახდელების** ფარგლებში დაგეგმილია 5 503 341(რაზედაც დაიხარჯება 2 888 779 ლარზე მეტი ვიდრე გასული წლის თავდაპირველი ბიუჯეტით) აღნიშნული ხარჯებით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციის - კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფის შენარჩუნება განხორციელდება, ამ მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, ქალაქის ტერიტორიის და სოფლის ცენტრების დაგვა დასუფთავება , სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, ქალაქის სანაპირო ზოლის დასუფთავება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა, საყოფაცხოვრებლო ნარჩენების გატანა . სულ ამ მიზნით ა(ა)იპ სანდასუფთავების ფუნქციონირებისათვის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი გახარჯავს 2587135ლარს. (213291ლარით მეტს ვიდრე 2020 წლის დასაწყისში იყო გათვლილი)) შტატგარეშე შრომის ანაზღაურებით 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაქირავებული მტვირთავი,მეეზოვე და მძღოლი სულ 26 ერთეული გათვალისწინებული იქნება სამშატო რიცხოვნებაში. აგრეთვე გათვალისწინებულია დამატებით სამშატო რიცხოვნების ზრდა 10 ერთეული მეეზოვით. ცვლილება განპირობებულია დამატებითი ტერიტორიების მოვლა-შენახვის ვალდებულებებით კერძოდ 10 ერთეული მეეზოვე დაემატება სოფლებს სადაც არ იყო მეეზოვეები, ამავე დროს წინა და მიმდინარე წლის გამოცდილებიდან გამომდინარე ,2021 წლისათვის შენარჩუნებულია ყველა საჭირო მათ შორის ზაფხულის სეზონთან დაკავშირებული საჭიროებების მოთხოვნების სუბსიდირება. (ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების - ტერიტორიების დაგვა-დასუფთავებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დამხმარე მასალების შეძენის ხარჯი. ტრანსპორტის საწვავის შეძენისა და რემონტის ხარჯი, თანამშრომელთა დაზღვევის და უნიფორმის შეძენის, ნაგავსაყრელის მომსახურების და სხვა) .

➤ **დასუფთავების ღონისძიების** მიმართულებით მუნიციპალიტეტი აგრძელებს მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და რეგულირების ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ დაგეგმილია მაწანწალა ცხოველების (ძაღლების, კატების) პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: დაჭერა და ტრანსპორტირება; ევთანაზია (ჰუმანური დამინება ნარკოზით); სტერილიზაცია; კასტრაცია; კვება; ვაქცინაცია და დაბირკვა; ამ მიზნით სულ 556 ერთეულზე დაიხარჯება 50000 ლარი.

➤ **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების** მიმართულებით დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარის საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის მოწყობა თანხით 2 866 206 ლარი. პროექტის ფარგლებში განხორციელდება ფიჭვნარში დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, შეიცვლება 500 მ-იანი ცენტრალური საკანალიზაციო ხაზი დ- 800 მაღალი წნევის მილით, რომლის დაკავშირება მოხდება №3 გადამქაჩ სადგურთან.

➤ **საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს** ფარგლებში სულ დაგეგმილია 8 117 288 ლარი. (აღნიშნული სფერო 2020 წლის სასტატო ბიუჯეტთან მიმართებაში 28 % იან კლებათა.) სფეროში ხარჯების კლება ძირითადად წყალმომარაგების

ღონისძიებების კლებითაა განპირობებული,თუმცა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობას კვლავ ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება წარმოადგენს. კეთილმოწყობის ღონისძიებების მიმართულებით დაგეგმილია სკვერების, პარკების და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები..კერძოდ:

- **ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობა (II ეტაპი)**
ითვალისწინებს 2 690 000 ლარის ხარჯს. ქალაქ ქობულეთში ზღვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის პროექტის II ეტაპის ფარგლებში დასრულდება 2020წლის ბულვარის 1000 გრძ.მ. მოწყობის პროექტი. სადაც დეკორატიული ფილებით მოპირკეთდება სასეირნო ზოლი და სავალი ნაწილი, მოეწყობა ველო ბილიკები, გაშენდება მწვანე ზოლი, დამონტაჟდება ახალი განათების სისტემა, განთავსდება საბავშვო ატრაქციონები და სპორტული ტრენაჟორები. პროექტი ადაპტირებული იქნება შშმ პირებისათვის.
- **ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ვილარის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობისათვის** გათვალისწინებულია 313155 ლარით. 2020წლის გარდამავალი პროექტია. ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ვილარის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა:მოწესრიგდება სანიაღრე სისტემა, დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა მწვანე ზოლი, შეიცვლება გარე განათების სისტემა, განთავსდება საბავშვო ატრაქციონები, საპარკე სკამები და სანაგვე ურნები.
- **ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ჩაის ფაბრიკის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობაზე გაიხარჯება 1 075603 ლარი. 2020წლის** გარდამავალი პროექტია. ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ჩაის ფაბრიკის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა: მოწესრიგდება სანიაღრე სისტემა, მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, მოეწყობა მწვანე ზოლი, შეიცვლება გარე განათების სისტემა, განთავსდება საბავშვო ატრაქციონები,საპარკე სკამები და ურნები
- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის მიზნით გათვალისწინებულია 300000 ლარი.** პროექტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების გადახურვა: მოხდება არსებული დაზიანებული სახურავების დემონტაჟი, მოეწყობა ახალი ხე მასალა, ასევე სახურავი შეიცვლება ფერადი თუნუქით. (დაბა ოჩხამურში და დაბა ჩაქვში გადაიხურება 7 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი).
- **გათვალისწინებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა თანხით 300 000 ლარი.** პროექტის ფარგლებში სოფელ ქობულეთის სოფლის ცენტრში მოხდება არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები: მოეწყობა ბორდიურები და სკვერი მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, დამონტაჟდება ახალი გარე განათების სისტემა, სკვერში განთავსდება საპარკე სკამები და სანაგვე ურნები, შეიცვლება არსებული ღობე. სკვერი ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის. ასევე გზის სავალ ნაწილზე მოეწყობა საგზაო გამყოფი კუნძული, რეაბილიტირებული იქნება დაზიანებული ასფალტის საფარი. მოეწყობა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და განთავსდება საგზაო ნიშნები.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო პუნქტების მოწყობა/რეაბილიტაცია რისთვისაც დაიხარჯება 250 000 ლარი; პროექტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ძველი ამორტიზირებული სამედიცინო პუნქტების რეაბილიტაცია, ასევე ახალის მოწყობის სამუშაოები.
- მომავალი წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უნებართვო უსახური და ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებასაც სულ ამ მიზნით ბიუჯეტი დახარჯავს 15 000ლარს.
- წყალმომარაგების მიმართულებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დააფინანსებს ა(ა)იპ "ქობულეთის სოფლის წყალს" თანხით 879000 ლარი. როგორც ცნობილია ა(ა)იპ "ქობულეთის სოფლის წყალი" ემსახურება სხვადასხვა სოფლებში წყალსადენებს, რომელსაც გააჩნია სათავე ნაგებობა, რეზერუარები, როგორც ცენტრალური ისე შიდა მაგისტრალური წყალსადენის პოლიეთილენისა და ფოლადის მილები. ყველაფერ ამისათვის წყალსადენებს ემსახურება 4 სარემონტო ბრიგადა რომელიც შედგება მუშა მძღოლის, შემდუღებლისა და ზეინკალისაგან. სარემონტო ბრიგადები ყოველ დღიურ რეჟიმში აწარმოებენ როგორც დაზიანებული მილების ასევე წყლის ჩამკეტი ურდულების შეცვლა გარემონტებას. თვეში ერთხელ ხორციელდება ტექნიკური პერსონალის მიერ სამარაგო რეზერვუარების რეცხვა დეზინფექცია. ასევე ხდება სათავე ნაგებობების გაწმენდა ნატანისაგან ყოველი წვიმის შემდეგ. აღნიშნული პერსონალი არასაკმარისისა სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, რისთვისაც დამატებით გათვალისწინებულია 6 ერთეული შტატის წყალსადენის მომვლელის დამატება. ასევე მერიის მიერ ორგანიზაციას გადაეცა მრავალფუნქციური ტრაქტორი რისთვისაც დაემატება ერთი ერთეული ტრაქტორის მძღოლი. 2021 წლისათვის აიპი შეიძენს ერთი ერთეულ ელექტროქუროების შემადუღებელ აპარატს და ჰაერის კომპრესორს, რომელიც დაეხმარება გაჭედული წყლის მილების გასუფთავებაში. დამატებით გამოყოფილია ერთი ერთეული კომპიუტერის შეძენაც. სულ ორგანიზაცია აქტივების შესაძენად დახარჯავს 14100ლარს.
- 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შპს "ქობულეთის წყალის" სუბსიდირება თანხით 500 000ლარი. როგორც ცნობილია კომპანია თავისი რესურსით ვერ უზრუნველყოფს დაფაროს ვალდებულებები რაც კომპანიის წინაშეა მათ შორის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი. მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას მოსახლეობის წყლით შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფისათვის გაწიოს აღნიშნული ხარჯი და დააფინანსოს კომპანია.
- გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის მიზნით დაიგეგმა 850000 ლარი. გაგრძელდება გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. კერძოდ გარე განათების წერტილების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლოატაცია და მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის დაფარვა; ქუჩების განათების სამუშაოები და ელ. ენერგიის ქსელში ჩართვა. დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში(ქაქუთი, გვარა, სოფ.ქობულეთი-კოხი, კვერიკე-მუხრანი, თავისუფლების ქუჩა, დაგვა) გარე განათების მოწყობის სამუშაოები თანხით 410000 ლარი. სადაც მოხდება ახალი გარე განათების დიოდური ლედ სანათების მოწყობა, სულ 342 ცალი. . წლის განმავლობაში ექსპლუატაცია გაეწევა 6721 გარე განათების წერტს, დაიფარება გარე

განათების წერტილებზე წლის განმავლობაში დახარჯული ელექტროენერგიის საფასურიც 430000 ლარით, განხორციელდება ქალაქის საახალწლო განათება 10 000 ლარით.. სულ 2021 წლის ბიუჯეტით გარე განათების მიმდინარე დანახარჯები შეადგენს **850 000** ლარს.

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობა დაიგეგმა თანხით 200 000 ლარი.** პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფ. ალამბრიდან სოფ. აჭყვისთავის ცენტრამდე; სოფ. ხუცუბნის ცენტრიდან სოფელ ქობულეთის ცენტრამდე) მოხდება ახალი გარე განათების დიოდური ლედ სანათების მოწყობა.

- **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა დაგეგმილია 300 000 ლარით.** რომლის ფარგლებში განხორციელდება ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ძირითადად სამომავლოდ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა..

- **პროექტების ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი დაგეგმილია 30 000 ლარით.** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა.

- **მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანება და გამწვანებულ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა 2021 წლის ერთ ერთ აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს.** ამ მიზნით ბიუჯეტი 383 530 ლარით დააფინანსებს ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანებას. ის უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქობულეთი, დაბა ჩაქვი), ტროტუარების, სკვერებად და პარკებად დარეგისტრირებული ნაკვეთების მოვლა-პატრონობას, გაცელვითი და დაწამლვითი სამუშაოებს. ასევე ორგანიზაცია მოვლა-პატრონობას განახორციელებს მარად მწვანე ხე მცენარეების, კონკრეტულად: გასხვლა, შეღებვა და დაზიანებული ხეების მოჭრით სამუშაოებს. კერძოდ სამუშაოები წლის განმავლობაში მოიცავს: ერთწლიანი ყვავილებით განაშენიანებას მუნიციპალიტეტის საუთრებაში მყოფ სკვერებში. ხე-მცენარეების დარგვას ერთწლიანი ჰორიზონტალური ყვავილების დარგვას სულ 56 ძირი, მწვანე საფარის გაცელვას, ხე-მცენარეების გადაბელვასა, ხე-მცენარეების დეკორატიულ გასხვლა-გაფორმებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მორწყვას, ხე-მცენარეების შეთეთრებას ჩაუმქრალი კირით დაახლოებით .არაფინანსური აქტივებით დაგეგმილია მარადმწვანე ნარგავების შეძენა 20 000 ლარით. სარწყავი ნასოსის შეძენა 1000 ლარი და გენერატორის შეძენა 1200 ლარი; სულ 22200 ლარი გაიხარჯება ამ მიზნით.

- **საცხოვრებელი ბინების სადეზინფექციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია 25000 ლარი.** იგი ითვალისწინებს დეზინფექცია-დერატიზაციის ღონისძიებებს, კერძოდ საცხოვრებელი სახლების სადეზინფექციო სამუშაოებს, დაგეგმილი პროფილაქტიკური სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება დაკავშირებულია მავნე მწერებისა და მღლნელების მაქსიმალურ შემცირებასთან მოსახლეობის ეპიდემოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. სამუშაოები ჩატარდება შემდეგი მიმართულებით: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებისა და სარდაფების დეზინფექცია თვეში ერთხელ თებერვალი-ოქტომბერი და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებისა და სარდაფების დერატიზაცია თვეში ერთჯერ, თებერვალი-ოქტომბერი(9 თვე) ..

➤ აზომვითი ნახაზების ხარჯი დაგეგმილია 6000 ლარის ოდენობით.

➤ **ჯანმრთელობის დაცვის** სფერო დაგეგმილია 732 200 ლარით. აღნიშნული მაჩვენებელი 15,6 პროცენტით ზრდაშია გასული მწლის ამ პერიოდის მაჩვენებელთან მიმართებაში. ქობულეთის მუნიციპალიტეტის (უპირატესად მოწყვლადი კატეგორიის) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; შესაძლებლობის შეზღუდვის რისკის შემცირება და ზოგადად მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება, ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაგრძელდება დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის ქვეპროგრამები და ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: კერძოდ;

▪ **ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა დაფინანსდება 7000 ლარით;** ფენილკეტონურია წარმოადგენს თანდაყოლილ იშვიათ გენეტიკურ დაავადებას, რომელიც დაკავშირებულია ამინომჟავების ცვლის დარღვევებთან შინაგანი ორგანოების ღრმა დაზიანებას. ამ დაავადების მქონე პირები მთელი ცხოვრების მანძილზე საჭიროებენ დიეტოთერაპიას; კვებას კაზეინის ჰიდროლიზატის შემცველი ნარევებითა და მკურნალობას სხვადასხვა მედიკამენტებით, 18 წლამდე ასაკის ბავშვები ფედერალური პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად მარაგებიან მათთვის საჭირო დიეტური სამკურნალო ნარევებით, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს. ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის პირები, არ სარგებლობენ შეღავათებით. აღნიშნულის გათვალისწინებით პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაწევა 18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული 2 ბენეფიციარს 2000 ლარის ოდენობით, ხოლო 18 წლამდე ასაკის 3 ბენეფიციარს 1000 ლარის ოდენობით.

▪ **თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 85200 ლარი;** მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, ვერ ხორციელდება მედიკამენტების უწყვეტად მიწოდება. ამით ირღვევა საფეხურებრივი და უწყვეტი სამედიცინო მომსახურების პრინციპი, რის გამოც შეფერხებულია ხანგრძლივი სტაბილიზაციის შენარჩუნების შესაძლებლობა, რაც ხშირად ხდება პაციენტის მხრიდან ძალადობრივი ქცევის მიზეზად, როგორც საკუთარი თავის, ასევე ირგვლივ მყოფთა მიმართ. წარმოდგენილი მიზნობრივი პროგრამა განაპირობებს მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა ჩართულობას ფსიქიატრიულ სერვისებში, ასევე ხელს შეუწყობს პაციენტთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. პროგრამა ითვალისწინებს ერთი მობილური გუნდის დაფინანსებას თვის განმავლობაში 50 პაციენტის ადგილზე მომსახურებით. გუნდის მუშაობა ითვალისწინებს ბინაზე ვიზიტსა და მედიკამენტოზურ მკურნალობას საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად.

▪ **COVID-19 ით ინფიცირებულთა ოჯახების დახმარება დაგეგმილია 10 000 ლარი.** 2020 წლის აპრილის თვიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა COVID-19-ით ინფიცირებისა და covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალების ფაქტები . ქვეპროგრამა ითვალისწინებს:1)საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარების მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებას 200 ლარის ფარგლებში .2)ასევე covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალებისას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული პროტოკოლის შესაბამისად გვამის დაკრძალვას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. .პროგრამის ბენეფიციარები იქნებიან : 1. საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც დაუდგინდათ COVID-19-ის დიაგნოზი. 2. covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში გარდაცვლილი პაციენტების ოჯახები.

▪ **სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება დაგეგმილია 200 000 ლარით.** ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილს, ოჯახის მცირე შემოსავლების გამო, არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ და მას ამის საჭიროება დაუდგა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სამედიცინო მომსახურება, რომელიც ნაწილობრივ ან არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო ან/და აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებით. დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, კერძოდ: 1) პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით; შშმ პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილი); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტიშვილი) ოჯახის წევრები; ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები - სოციალური ქულით შეზღუდვის გარეშე; 2) 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები; 3) სარეიტინგო ქულის არმქონე ბენეფიციარებიც პროგრამით გათვალისწინებული წესების დაცვით;

▪ **მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს ა(ა)იპ „ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი,2021 წელს ამ მიზნით დაიხარჯება 430000 ლარი.** ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან სოფლებში, გეოგრაფიული მდებარეობის და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით საჭირო გახდა:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 12 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობა , კერძოდ კომუნალური და გათბობის ხარჯების გადახდა.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში მომუშავე 33 ექიმისათვის „ექიმის ჩანთის " მედიკამენტებითა და

სამედიცინო დანიშნულების საგნებით შევსება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

- პირველადი ჯანდაცვის ექიმებს ბინაზე გამოძახების შესრულება დიდი დაბრკოლებებით ხშირად ფეხით უწევდათ. მაღალი იყო ჯანმრთელობის გაუარესების რისკები. აღნიშნულის გათვალისწინებით განხორციელდება ამბულატორიის მედპერსონალის უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებით- მაღალი გამავლობის ავტომანქანით;
- საჭირო გახდა მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით ადგილზე ექიმადელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება და პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ექიმადელი სამედიცინო დახმარების 29 პუნქტის მედდების ხელფასით უზრუნველყოფა.რისთვ ისაც დაიხარჯება 138000 ლარი;
- მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის მიზნით
 - 0-დან 100 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა უზრუნველყოფას მოვლის საშუალებებით; კერძოდ, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევა პირებს, რომლებიც ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას და შესაბამისად მოვლის საშუალებებს.ამ მიზნით 90 ბენეფიციარზე ბიუჯეტი დახარჯავს 42300 ლარს.
 - მგრძნობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას; კერძოდ, კომპანია „ROHO“-ს ფირმის ნაწოლებისაგან დამცავი ბალიში, რომელიც „ტეტრაპარეზი“-ს, მგრძნობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირებს დაიცავს ნაწოლების გაჩენისაგან. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევა პირებს, რომელთაც აქვთ „კვადრიპლეგია“(ოთხივე კიდურის დამბლა).ამ მიზნით 10 ბენეფიციარზე გათვალისწინებულია 9600 ლარი;
 - სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 100 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფას ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება ოჯახს უწყდება 1 წლის ასაკის შესრულების მომდევნო თვიდან.ამ მიზნით 70 ახალშობილზე დაგეგმილია სულ 32900ლარი.

➤ **დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროში გათვალისწინებულია 1 561680 ლარი** 2020 წლის სასტარტო ბიუჯეტთან მიმართებაში 40 %იან კლებაშია. კლება აღნიშნულ სფეროში ინფრასტრუქტურული პროექტების კლებითაა განპირობებული. . სფეროში ღონისძიებები მიმართულია კულტურული ტრადიციების დაცვის ხელშეწყობისათვის. ამასთანავე, ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის. უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია ქობულეთელი სპორტსმენების სპორტული

მიღწევები შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული დაწესებულებების, სპორტული კლუბის მხარდაჭერას.

➤ ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა 293200ლარით. იგი ახორციელებს სპორტულ-გამაჯანსაღებელ , პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობას. კერძოდ: ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზდასა და დაოსტატებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას და მის დამკვიდრებას მოზარდ თაობაში, ხელს უწყობს მასობრივი სპორტის განვითარებას . ახორციელებს სკოლაში არსებული სპორტის სახეობაში მომეცადინე სპორტსმენთაგან ეროვნული ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადებას, წლის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებენ შიდა სასკოლო სპორტული ღონისძიებაში,რესპუბლიკურ და სხვა სპორტულ ღონისძიებებში ორგანიზაციაში ფუნქციონირებს ჭადრაკის, ძიუდოს, ფეხბურთის,ფრენბურთის, ძალოსნობის, თავისუფალი ჭიდაობის, ველოსპორტის ჯგუფები.

➤ სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა 90 000 ლარით; ორგანიზაციის ფუნქციონირების მიზანი რაგბის პოპულარიზაცია , ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ახალგაზრდებში,რაგბის ფედერაციის ეგიდით ორგანიზებული საერთაშორისო და რეგიონალური ტურნირებში მონაწილეობა, პროფესიონალი მორაგბეების გაწვრთვნა და მათი დახელოვნებაა. ამ მიზნით გარდა ადმინისტრაციული ხარჯებისა, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ტრანსპორტირებასა და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებას.

➤ სპორტული ღონისძიებების დაფინანსება 18000 ლარით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: 1)მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობის და განვითარების ხელშეწყობა. 2)სპორტის პოპულარულ სახეობებში ტურნირებისა და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. 3) ქობულეთელი სპორტსმენის/მწვრთნელების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა-წახალისება. კერძოდ:1)ქობულეთის მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში უზნებს შორის თანხით 3600ლარი. 2) ევროპის სპორტის კვირეული"-ს ფარგლებში სხვადასხვა სპორტული აქტივობების ორგანიზება თანხით 1200 ლარი. 3) მერიაში წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ხელშეწყობა. პერსპექტიული სპორტსმენების მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერა. თანხით 3000 ლარი. 4)გამარჯვებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისება ფინანსური ჯილდოთი. 10200 ლარი.

➤ ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი 588830 ლარი. ორგანიზაცია ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ,კულტურული ღონისძიებების უზრუნველყოფას ,ანსამბლებისა და კლუბების ფუნქციონირებას. განახორციელებს სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებას ,კულტურულ-საგანმანათლებლო ლიტერატურული სადამოები, ღირმესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი სადამოები , ბიბლიოთეკის კვირეული, საიუბილეო სადამოები, ფოლკლორის სადამოები ,საშობაო საახალწლო შეხვედრები. 2020 წლისათვის გათვალისწინებული შტატგარეშე შრომის ანაზღაურების მუხლით დაქირავებული 4 შტატი : 2 ერთეული მოცეკვავე , 1ერთეული ფოტო-რეპორტიორი ,

1ერთეული აჭყვისთავის სასოფლო კლუბის სპეციალისტი გათვალისწინებული იქნა საშტატო ერთეულში შრომის ანაზღაურების მუხლით. .

▪ **კულტურული ღონისძიებები განისაზღვრა 115500 ლარით;** აღნიშნული ღონისძიება ჩვენი ქვეყნის ტრადიციული დღესასწაულის მხარდაჭერას და პოპულარიზაციას, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, კულტურული ღონისძიებებისა და ფესტივალების ორგანიზებას, საახალწლო განწყობის შექმნას ემსახურება. განხორციელდება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების პოპულარიზაცია, თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა პატივის მიგება. საგანმანათლებლო პროგრამები კი ხელს შეუწყობს მოტივაციის ამაღლებას და მათ აკადემიურ ზრდას, ასევე შემოქმედებითი უნარების აღმოჩენასაც, და სამომავლოდ მათი სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას. ახალგაზრდების ინტელექტუალური აზროვნების გამოვლენა, კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში მათი ჩართულობა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება გენდერული თანასწორობის საკითხებში, შშმ პირების საზოგადოებასთან ინტეგრირება აღნიშნული პროგრამის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. პროგრამით უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი ჩატარებული ღონისძიებები:

▪ 1) „**ალილო**“ (საშობაო ღვეზელი, ჩურჩხელა, ბანანი, ანანასი, შოკოლადის ფილა, შოკოლადის კანფეტის ასორტი, ხურმის ჩირი, ლიმონათი, მოწნული კალათა, სასაჩუქრე პარკები) თანხით 1000 ლარი;

▪ 2) **სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების აღნიშვნა** (9 აპრილი, 26 მაისი 26 მაისის ღონისძიების ორგანიზება, სცენის მოწყობა, ბენდის დაქირავება, ფოიერვერკი, საქართველოს სახელმწიფო დროშები) თანხით 10 000 ლარი;

▪ 3) **წინა საახალწლო დღეები ქობულეთში** წლის წარმატებულების გამოვლენა და დაჯილდოვება. წინასაახალწლო დღეებში სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება, საახალწლო კონცერტებს წარმართავენ, როგორც ადგილობრივი შემსრულებლები და ქორეოგრაფიული ანსამბლები, ასევე მოწვეული არტისტები თანხით 30 000 ლარი.

▪ 4) **მედალოსანი მოსწავლეებთან შეხვედრა** წლის მედალოსან მოსწავლეებთან შეხვედრის ორგანიზება და საჩუქრების გადაცემა დაგეგმილია 4 000 ლარით.

▪ 5) **პროექტში „ეტალონი“** მონაწილეობის მიღება ინტელექტუალური კონკურს-ჩემპიონატი გულისხმობს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სკოლის მოსწავლეებს შორის საუკეთესოების გამოვლენა და გამარჯვებულის დასაჩუქრება. გათვალისწინებულია ამ მიზნით 3500 ლარი;

▪ 6) **წლის წარმატებული პედაგოგებთან შეხვედრა** და ამ მიზნით ღონისძიების ორგანიზება, პედაგოგებთან შეხვედრა დაიგეგმა 5 000 ლარით.

▪ 7) **ქობულეთის მუნიციპალიტეტის სტუდენტების ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფა** -მერის სტიპენდია (მერის სტიპენდიაზე წარდგენილი კანდიდატი (სტუდენტი) უნდა გამოირჩეოდეს მაღალი აკადემიური მოსწრებით, საშუალო არითმეტიკული 95 ქულა. მერის სტიპენდია წესდება თვეში 25 ლარის (დარიცხული) ოდენობით, სტიპენდიანტებს სტიპენდია ეძლევათ დანიშვნის დღიდან კვარტალში ერთხელ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში).

▪ 8) **ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მქონე 5 სტუდენტისათვის ერთჯერადი ფინანსური ჯიდლოს გადაცემა** .სულ ამ მიზნით დაგეგმილია 15 000 ლარი.

- 9) საბუნებისმეტყველო საგნებში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კონკურსის მოწყობა კონკურსის მოწყობა და გამარჯვებულების დაჯილდოვებასულ ამ მიზნით დაიგეგმა 3 000ლარი;
- 10) დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო (ღონისძიების ორგანიზება, დარბაზის დაქირავება (100 პერსონა), ინდივიდუალური მომღერლის ან ანსამბლის მოწვევა, ფურშეტი, ყვავილების თაიგული).დაგეგმილია 5 000ლარი;
- 11) გურამ თამაზაშვილის სახელობის ქართული ხალხური და ქართველი კომპოზიტორების კონკურს-ფესტივალი ცნობილი სახეების მოწვევა ჟიურიში და მათი ჰონორარი, საუკეთესო მომღერლების აღმოჩენა და დაჯილდოვება, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულების ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვება, მცირე ფურშეტი.დაგეგმილია 8 000ლარი;
- 12) გენდერული თანასწორობის დღე (სემინარების და ტრენინგების ჩატარება მოწვეული ტრენერების დახმარებით, აქტივობისთვის საჭირო ნივთები, ფურშეტი, ტრანსპორტირება) დაგეგმილია1000 ლარი;
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა დაგეგმილია 104000 ლარით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქობულეთის ტურისტული პოტენციალის, წარმოჩენა, რეკლამირება, გავრცელება, ადგილობრივი ტრადიციების გაცნობა ტურისტებისთვის, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისთვის ღირშესანიშნავი ადგილების ცნობადობის ამაღლება, ქობულეთის საინვესტიციო გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: 1) ფოტოგრაფების მოწვევა 3 დღიანი ტური ქობულეთის ღირშესანიშნავ ადგილებში ,რისთვისაც გათვალისწინებულია 4 000 ლარი.2) ქობულეთის საინვესტიციო ონლაინ კატალოგის შექმნა (ფოტოგრაფის მოწვევა , საინვესტიციო ადგილების აღწერა და ბაზის შექმნა) დაგეგმილია 5 000ლარით. 3) ტურიზმის სარეკლამო მასალების დამზადება (სარეკლამო ბეჭდური მასალები, სუვენირები, სასაჩუქრე ჩანთები) რაზედაც გაიხარჯება 25000ლარი; 4) ინფო ტური ტუროპერატორებისთვის, ფოტოგრაფებისთვის და ჟურნალისტებისთვის (უცხოელი და ქართველი ჟურნალისტების მოწვევა, ტრანსფერით, დაბინავებით და კვებით უზრუნველყოფა, ქობულეთის ირგვლივ ტურის ორგანიზება , ღირშესანიშნავი ადგილების და ტურისტული ობიექტების დათვალიერება, კულინარიული მასტერკლასისორგანიზებათანხით10 000ლარი.5)"მზე სოფელში ანათებს" ღონისძიებისთვის ტერიტორიის მოწყობა, მონაწილეთა და საჭირო ინვენტარის ტრანსპორტირება, სხვადასხვა სახის აქტივობების გამართვა,გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოვება, ქართული სამზარეულოს კუთხის მოწყობა , და კულინარიული მასტერკლასის გამართვა, ბენდის მოწვევა, დაბინავება. განათებით, აპარატურით და ხმის რეჟისორით უზრუნველყოფა, წამყვანის მოწვევა , ტურის ორგანიზება,ღონისძიების დრონით და ვიდეოკამერით გადაღება, მონტაჟი ; ამ მიზნით დაგეგმილია 25 000ლარის ხარჯი. 6) ბრენდირება - ბრენდირება - მარკეტინგული სტრატეგია და ბრენდინგი, ტურისტული ვებ გვერდი, ვიდეო ფროდაქშენი, ფოტო გადაღება, რეკლამა, კონსულტაცია და ტრენინგები რაზედაც გაიხარეჯება 35 000 ლარი;
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა" 463270ლარით; ორგანიზაცია ახორციელებს მუსიკალური და სამხატვრო განათლების მიცემას მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. კლასიკური და თანამედროვე მუსიკის სწავლებას; კლასიკური და თანამედროვე მუსიკის

კომპოზიტორთა და მხატვართა შემოქმედების გაცნობას; სხვადასხვა ხალხურ და საესტრადო ინსტრუმენტებზე დაკვრის ხელოვნების დაუფლებას; მოსწავლეები ეუფლებიან სხვადასხვა ხალხურ საკრავებზე(ფანდური, ჩონგური, სალამური) და საესტრადო მუსიკალურ ინსტრუმენტებზე(ელექტრო გიტარა,სინთეზატორი, საყვირი, დრამი, ტამტამი.საქსაფონი,ვიოლინო)დაკვრას. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კლასიკური და ხალხური მუსიკის ფესტივალებსა და კონკურსებში. სარაიონო ღონისძიებებში.

➤ **ა(ა)იპ ქობულეთის პარკი 303400 ლარი.** 2021 წლის განმავლობაში ა(ა)იპ „ქობულეთის პარკი“ ბალანსზე რიცხულ პარკებსა და სკვერებში (კერძოდ ქობულეთის ზღვისპირა პარკი, დაბა ჩაქვის პარკი, მეგობრობის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერი და ჩეხოვის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერი) უზრუნველყოფს მცენარეების მოვლა პატრონობას, შევსებას-განახლებას,მწვანე საფარის (მინდორი) გაცელების ღონისძიებებს (გაცელვითი სამუშაოებს 66739 კვ.მ-ზე დაფოცხვა გაწმენდა). პარკებსა და სკვერებში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას, სავალი ბილიკების და ბორდიურების სეზონურ შეკეთებას გამოცვლას. შადრევნების (სულ 5ერთეული) მოვლა-პატრონობას, საპირფარეშოების დალაგებას(სულ 8 ერთეული). ღობეების, სკამების, სანაგვე ურნების, ატრაქციონების, ტრენაჟორების , და ა.შ. მიმდინა-რემონტს ,ადადგენს /შედგას.

- **გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული" 212350 ლარით.**ორგანიზაცია ახორციელებს ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების საუკეთესო ნიმუშების დადგმასა და რეპერტუარის განახლებას. შენარჩუნებულია ქართული ხალხური ფოლკლორი; შენარჩუნებულია ქორეოგრაფიული ხელოვნება და ეროვნული ტრადიციები.

➤ **ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი 129 600 ლარით.** ქობულეთის მუზეუმი განახორციელებს სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო-სამეცნიერო აქტივობების ორგანიზებას, მათ შორის: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების შესწავლისა და კვლევის მიზნით მუნიციპალიტეტის მკვიდრებისა და სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზებას, მუზეუმის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას, მუზეუმში დაცული სამუზეუმო მნიშვნელობის მქონე ნივთების დაცვას, ინტერპრეტაციას და პოპულარიზაციას,რაც ხელს შეუწყობს ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობებით დაინტერესებული ბენეფიციართა რიცხვის ზრდას.

➤ **განათლების სფეროს ხარჯებში 2021 წლისათვის დაიხარჯება 9560781ლარი. 2 363 602 ლარით ლარით მეტი ვიდრე 2020 წლის თავდაპირველი ბიუჯეტითაა გათვალისწინებული.** მათ შორის 414730 ლარზე მეტი მხარჯავი დაწესებულებების ნაწილში,ხოლო 1948 872 ლარზე მეტი ინფრასტრუქტურულ ნაწილში. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით პრიორიტეტულობა შენარჩუნებულია და მთლიანად ხარჯები სკოლამდელი განათლებას მოხმარდება. რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებია და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

➤ **ა(ა)იპ - ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანება** მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებებში განათლების სრულფასოვანი, გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას განახორციელებს. ამ მიმართულებით დაიხარჯება

4 283 170ლარი. მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში 29 ერთეული საბავშვო ბაღი ირიცხება. ორგანიზაცია უზრუნველყოფს აღსაზრდელთა კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების შესაბამისობაში მოყვანას სტანდარტებთან,რის გამოც კვებითი მენიუს ღირებულება 2021 წლისათვის გაორმაგდება 2020 წელთან შედარებით და განისაზღვრება განისაზღვრა თვეში 80 ლარის ოდენობით. ; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განათლების მიზნით კი ავეჯის, საოჯახო ტექნიკის, სამზარეულოს ჭურჭლის, სხვადასხვა ქსოვილის ნივთებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შესყიდვას; რბილი ინვენტარის(ლეიბები,საბნები,ბალიშები და სხვ)შემენას, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის მიზნით საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევებს.საბავშვო ბაღების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს !

➤ საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაციისათვის ბიუჯეტით გაიხარჯება სულ 4 521 141 ლარი; მათ შორის:

➤ ქალაქ ქობულეთში №1 საბავშვო ბაღის მშენებლობა **679 807** ლარით; აშენდება 2 სართულიანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი (7 ჯგუფზე გათვლილი), ასევე პროექტის ფარგლებში მოპირკეთდება ბაღის ეზო, მოეწყობა სათამაშო მოედანი და განთავსდება საბავშვო ატრაქციონები. პროექტი იქნება გარდამავალი, სამუშაოები დაიწყება 2021 წელს და დასრულდება 2022წელში.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ხალაში საბავშვო ბაღის მოწყობა დაიგეგმა **675822** ლარით; როგორც ცნობილია პროექტი გარდამავალია 2020-2021 წლების. უკვე მიმდინარეობს პროექტი . პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რომ აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი და კეთილმოეწყობა ბაღის ეზო პროექტი დასრულდება 2021წელში.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლელვაში საბავშვო ბაღის მოწყობა გამოიყო **1 249 268** ლარი; გარდამავალი პროექტი 2020-2021 წლების. არსებული 2 ჯგუფიანი საბავშვო ბაღი ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს, პროექტის ფარგლებში მოეწყობა ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი (3 ჯგუფიანი) ბაღი: აშენდება ახალი შენობა, კეთილმოეწყობა ბაღის ეზო და დასრულდება 2021წელს..

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საჩინოში საბავშვო ბაღის მოწყობა დაგეგმილია **1516244** ლარით. პროექტი გარდამავალია დაიწყება 2021წელს და დასრულდება შემდეგ წელში. გარდამავალი პროექტი 2020-2021 წლების. არსებული საბავშვო ბაღი ვერ აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს, შესაბამისად მოხდება არსებული შენობის დემონტაჟი და აშენდება ახალი 2 სართულიანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი (105ბავშვზე). პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს ბაღის ეზოს კეთილმოწყობას: მოეწყობა მწვანე ზოლი, ეზო მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით და დამონტაჟდება საბავშვო ატრაქციონები.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, აჭარის ქუჩაზე საბავშვო ბაღის მოწყობა სამუშაოებისათვის დაიხარჯება **400 000** ლარი; აშენდება 2 სართულიანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი (2 ჯგუფზე გათვლილი), ასევე პროექტის ფარგლებში მოპირკეთდება ბაღის ეზო, მოეწყობა სათამაშო მოედანი და განთავსდება საბავშვო ატრაქციონები. პროექტი იქნება გარდამავალი, სამუშაოები დაიწყება 2021 წელს და დასრულდება 2022 წელში.

- **სოციალური დაცვის სფეროში 2021წელს დაიხარჯება 467830 ლარი** . აღნიშნულ სფეროში ძირითადად შენარჩუნებულია გასული წლის პროგრამები და გათვალისწინებულია ერთი ახალი პროგრამის დამატებაც.
- **მუნიციპალური უფასო სასადილოზე** გამოყოფილია 220000 ლარი; მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის დახმარება წარმოადგენს ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს. ქ. ქობულეთში მუნიციპალური უფასო სასადილო ემსახურება გარკვეული სოციალური კატეგორიის ბენეფიციარების(ბენეფიციარი რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალური მომსახურეობის სააგენტოში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 0-დან 100 000- ჩათვლით; მარტოხელა პენსიონერი,დედ-მამით ობოლი ბავშვი,უსახლკარო; მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოსახული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;მარჩენალდაკარგული; მრავალშვილიანი.) 300 ბენეფიციარს ერთჯერადი ცხელი საკვებით კვირაში 7-ჯერ (წელიწადში 365 დღის) განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ მენიუს შესაბამისად.
 - **მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარებისათვის** გამოყოფილია 50000 ლარი; დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესებისათვის მიუხედავად ოჯახის მატერიალური შესაძლებლობისა ერთჯერად მატერიალურ დახმარებას დაწესებული ზღვრების ფარგლებში(სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 000 ქულის ჩათვლით) მიიღებს 80მდე ახალშობლის ოჯახი ვისაც შეეძინება სამი და მეტი შვილი; შესაბამისად 600 ლარს,800ლარს და 1000ლარს.
 - **5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები)** ერთჯერადი მატერიალური დახმარებისატვის გამოყოფილია 35 000 ლარი; ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელება, მათთვის მორალური დამატერიალური მხარდაჭერა, სტიმულის მიცემა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 5 და მეტი მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერად მატერიალური დახმარებას 1000 ლარის ოდენობით.პროგრამაში გათვალისწინებულია 35 ბენეფიციარი.
 - **ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების** პროგრამა ითვალისწინებს 15830 ლარს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულთა უკდავყოფის მიზნით მუნიციპალიტეტი ახორციელებს პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკდავყოფას, გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახზე დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებას(8 ერთეული, თითოეულზე 400ლარი), სადღესასწაულო დღეების აღნიშვნას. ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემას(36 ერთეული, თითოეულზე 300ლარი).
 - **უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა** 20000 ლარი; ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ გარდაცვლილთა ოჯახებზე, რომელთაც არ გააჩნიათ სახსრები მიცვალებულთა დაკრძალვისათვის და სოციალური სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-70000 ქულის ჩათვლით (45 ერთეული თითოეულზე 400 ლარი) და უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის გაღება(2 ერთეული,თითოეულზე 400ლარი) და 2 ერთეული უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ორგანიზება ერთეული,თითოეულზე 600ლარიგაიცემა დაკრძალვის თანხები.

- **დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხელშეწყობა** დაგეგმილია 45 000 ლარით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალიზის ცენტრების ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 70 პაციენტისა და მათი თანმხლები პირების ქ. ბათუმისა და ქობულეთის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას (თანხა გაიცემა საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, პაციენტები ყოველთვიურად იტარებენ 13 დიალიზის სეანსს). ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კარეგორიის ბენეფიციარებს არ აქვთ ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი ან სამი სახის ტრანსპორტის შეცვლა, უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.
- **ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობა** დაგეგმილია 45000 ლარით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე 130 ბენეფიციარისა და მათი თანმხლები პირის ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის მატერიალურ დახმარებას. ქობულეთის ტერიტორიაზე არსებულ რეაბილიტაციის ცენტრებში რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად ბენეფიციარებისათვის თანხა გაიცემა საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში თანხა გაიცემა მოჭრით - ერთ ბენეფიციარზე (თანმხლებ პირთან ერთად) 8 ლარი ერთ ვიზიტზე. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი ან სამი სახის ტრანსპორტის შეცვლა, უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.
- **ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება** გათვალისწინებულია 30000 ლარი; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა შემოსავალი მეტად მწირია, დიდ პრობლემას წარმოადგენს ბუნებრივი აირის შეყვანისათვის თანხის გაღება. ასევე მნიშვნელოვანი მორალური და მატერიალური მხარდაჭერაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახების გაზიფიცირება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში 0-დან 65 000-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახებისა და 0-დან 200000-მდე ქულამდე ომის ვეტერანების ოჯახების გაზიფიცირება -სულ ჯამში 75 ბენეფიციარის გაზიფიცირებას - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაუქურამდე) არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით.
- **დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა** თანხით 7000 ლარი; პროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლ ბავშვთა (8 ბენეფიციარი) ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბავშვებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროება მათ განვითარებას და აღზრდას.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის სამი კვარტლის შესრულების შესახებ

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სამი კვარტლის შემოსულობების გეგმა გადასახადების ნაწილში შეადგენდა 10 094 480 ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 8 613 984 ლარი ანუ შესრულებამ შეადგინა 85.3 პროცენტი.

სხვა შემოსავლების სახეში გეგმა 2 207028 ლარი, შემოსავალმა შეადგინა 2 307836 ლარი, ანუ შესრულებამ შეადგინა 104,6 %.

არაფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 22473 ლარი.

გრანტები:

- 2020 წლის 1 ოქტომბრისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სულ გამოყოფილი და ჩამორიცხული იქნა 181729 ლარი.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად ჩამორიცხულია 1533781 ლარი პერიოდში დაგეგმილი კვარტალური გეგმის 58,3%.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტზე გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერის სახით, მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შესაბამისად სულ საანგარიშო პერიოდში ჩამორიცხა 6 595 687 ლარი პერიოდისათვის დაგეგმილი ტრანსფერის 64 პროცენტი;

სულ გრანტების სახით საანგარიშო პერიოდისათვის მუნიციპალიტეტმა მიიღო 8 311 197 ლარი;

გადასახდელები:

შემოსავლებით, გრანტებითა და ურთიერთანგარიშსწორებით მიღებული თანხებით სულ გაწეულია 21 264 955 ლარის ხარჯი.

ფაქტიური ხარჯების გადანაწილება ფუნქციონალურ ჭრილში

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებას მოხმარდა 3 719 190 ლარი, საერთო საბიუჯეტო ხარჯის 17,5%. სამ კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 94,2%.
- თავდაცვის სფეროს მოხმარდა 81518 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 0,4%, ორ კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ათვისება შეადგენს 86,5%.
- ეკონომიკური საქმიანობა აღნიშნულ სფეროში სულ დახარჯულია 3881580 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 18,2%. სამ კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 74,4%.
- გარემოს დაცვის ღონისძიებებს სულ მოხმარდა 1765257 ლარი მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 8,3 %. სამ კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 87%.
- საბინაო კომუნალური მეურნეობაში სულ გახარჯულია 5997181 ლარი ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 28,2%; სამ კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 67,9%.
- ჯანმრთელობის დაცვას სულ მოხმარდა 440488 ლარი ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 2,1 პროცენტი. სამ კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 84,6%.

- დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროში სულ გაიხარჯა 1661429 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 7,8%. საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 89,3%.
- განათლების სფეროში გაიხარჯა სულ 3099727 ლარი მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 14,6%. კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 63,9%.
- სოციალური დაცვის სფეროს ხარჯმა სამ კვარტალში შეადგინა 618585 ლარი, ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 2,9 %. პერიოდში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 87,4%.

ბიუჯეტის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ცხრა თვეში გაწეული ფაქტიური ხარჯი მთლიან საბიუჯეტო ხარჯებთან მიმართებაში შემდეგნაირად განაწილდა:

- შრომის ანაზღაურების მუხლით სულ გაიხარჯა 1527889 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 7,2%, სამ კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 98,9%.
- საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულია 1268423 ლარის ხარჯი მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 6, %, სამ კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 84,2%.
- პროცენტის მუხლით გაიხარჯა 176402 ლარი ანუ 0,8 %. სამ კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 99,5%.
- სუბსიდიის მუხლით გაიხარჯა 7088452 ლარი ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის - 33,3%, სამ კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 91,5%.
- სოციალური უზრუნველყოფის მუხლით ხარჯმა შეადგინა მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 2,4% ანუ 516062 ლარი, სამ კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 90,1%.
- სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 2539823 ლარი ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 12%, კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 62,6%.
- არაფინანსური აქტივების ხარჯმა კვარტალში შეადგინა 7046309 ლარი - ხარჯების 33,1%, საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 62,2%.
- ვალდებულებების კლების მუხლით დაფინანსებულია 1101595 ლარი ანუ მთლიანი გაწეული ხარჯის 5,2 %. სამ კვარტალში დაგეგმილი ხარჯების ფაქტიური ათვისება პროცენტულ მაჩვენებელში შეადგენს 97,6%.

მიმდინარე წლის 9 თვეში ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები შეადგენს საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით დაგეგმილი გადასახდელების 75,8%-ს.